# იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი 03.12. 2024 წ.

ერთის მხრივ, ი/მ გოჩა კევლიშვილი პ/ნ 01002020886 შემდგომში მეიჯარე და მეორეს მხრივ მარინა კახაძე პ/ნ 37001011321 სახით \შემდგომში მოიჯარე, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე: 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს 6.07კვ/მ. არასაცხოვრებელ ფართს ( მის: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი N 16 ს/კ 01.15.05.010.002.01.502).

1.2 მოიჯარეს საიჯარო ქონება გადაეცემა სამეწარმეო საქმიანობისათვის.

**2. ხელშეკრულების ვადა და საიჯარო ქირა:**

2.1 იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა განისაზღვრება თვეში **150** (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

2.2. საიჯარო ქირის გადახდა მოხდეს ყოველი თვის 30 რიცხვამდე, ნაღდი (ან უნაღდო) ანგარიშსწორებით.

2.3. საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

2.4. ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 3 დეკემბრიდან- 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3. მეიჯარის უფლება–მოვალეობანი:**

3.1. მეიჯარე უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს შეამოწმოს საიჯარო ქონება და დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში მოიჯარეს მოსთხოვოს ზიანის აღმოფხვრა.

3.2. მეიჯარე ვალდებულია: ა) გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში; ბ) აცნობოს მოიჯარეს საიჯარო ქონების ყველა ნაკლის შესახებ და გაუწიოს ინფორმაციული ხასიათის დახმარება საიჯარო ქონების უკეთ გამოყენების მიზნით; გ. წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივადშე წყვეტის, აგრეთვე იჯარის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**4. მოიჯარეთა უფლება–მოვალეობანი:**

4.1. მოიჯარე უფლებამოსილი არის: ა. საიჯარო ქონების სარგებლობით მიღებული შემოსავალი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ; ბ. მოახდინონ საიჯარო ქონების გაუმჯობესება მისი საქმიანობისთვის საჭირო მოთხოვნების შესაბამისად, მეიჯარის

წინასწარი წერილობითი თანხმობით. გ. ისარგებლონ საიჯარო ქონების უპირატესი შესყიდვის უფლებით. 4.2. მოიჯარე ვალდებულია: ა. გამოიყენოს საიჯარო ქონება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის. ბ. აცნობონს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ,რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონებაზე. გ. დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დ. მოიჯარენი პასუხს არ აგებენ საიჯარო ქონების ისეთი ცვლილების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლზომიერი სარგებლობით. ე. გადაიხადონ კომუნალური გადასახადები.

**5. საიჯარო ქონების გადაცემა. საიჯარო ქონების დაბრუნების პირობები:**

5.1. საიჯარო ქონების გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების საგნის მიღებასაც.

5.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება დაბრუნდება იმ მდგომარეობაში რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა მიღების მომენტში, ხელშეკრულების შესაბამისად მისი სარგებლობით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინებით

5.3. ქონების დაბრუნება ხორციელდება ხელშეკრულების შეწყვეტისას მეიჯარის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 /ოცდაათი/ დღის განმავლობაში და ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით.

**6.ხელშეკრულების ძალაში შესვლა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა:**

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელის მოწერის შემდეგ.

6.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე .

6.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების პირობებში, ან შეიტანონ ცვლილებები ურთიერთშეთანხმებით.

6.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე მოშალონ ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

6.5. 6.4 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადაა 30 (ოცდაათი) დღე.

**7. დავათა გადაწყვეტა:**

7.1 ხელშეკრულების მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება ურთიერთ შეთანხმების გზით;

7.2. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

**8. დასკვნითი დებულებანი:**

8.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელიც გადაეცემა მხარეებს.

8.2. ურთიერთობები რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, ჩამოყალიბდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**9. მხარეთა რეკვიზიტები:**

9.1. მეიჯარე: გოჩა კევლიშვილი საქართველო, ქალაქი თბილისი, პ/ნ 01002020886მის: შოთა რუსთაველის 16

9.2 მოიჯარე: მარინა კახაძე მის. სამგორი რევაზ ბებიას მე-5 ქუჩა სახლი 9 პ/ნ 37001011321

მხარეთა ხელოწერები:

მეიჯარე - გოჩა კევლიშვილი ----------

მოიჯარე - მარინა კახაძე ----------

# თანხმობა

ქ. თბილისი 15 იანვარი 2025 წელი

ჩვენ, **გოჩა კევლიშვილი** (დაბადებული 23.04.1975 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი 1ა, ბინა 114, პირადი № 01002020886) და **კახა ყაზიშვილი** (დაბადებული 09.09.1990 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის VI შეს. N 11 ბ. 57, პირადი № 01011075925), თანახმა ვართ, რომ **მარინა კახაძემ** (პირადი № 37001011321) უძრავ ნივთის, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 16,** გარე ფასადის კედელზე განათავსოს ვალუტის ბანერი. აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არ გაგვაჩნია და არც მომავალში გვექნება.

**გოჩა კევლიშვილი** გოჩა კევლიშვილი

**კახა ყაზიშვილი** კახა ყაზიშვილი

**ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდახუთი წლის თხუთმეტი იანვარი.**

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 18, ვამოწმებ წინამდებარე თანხმობაზე, რომელიც შედგენილია ერთ ცალად, **გოჩა კევლიშვილის** (დაბადებული 23.04.1975 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი 1ა, ბინა 114, პირადი № 01002020886) და კახა ყაზიშვილის (დაბადებული 09.09.1990 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის VI შეს. N 11 ბ. 57, პირადი № 01011075925) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით. მათი ვინაობა, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეებს.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის მე-3 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, 22.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 3.96 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 30.96 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N250034212 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 15.01.2025 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ნარგიზა ჯანხოთელი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი რუსთაველის გამზ. 18 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 032 2 990506 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 45872485336825 |

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18